რატომ არ შეხვდნენ „ღია კარის სხდომაზე“ გამოცხადებულ მოქალაქეებს ქალაქის მერი და თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის სამსახურების ხელმძღვანელები???

ალიონი. 16 აპრილს, დილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სოციალური ქსელით შემდეგი განცხადება გაავრცელა:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 16 აპრილს „ღია კარის სხდომას" მართავს.

საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული, „ღია კარის სხდომა" - ამომრჩეველთა მოსმენის ყველაზე ოპერატიული, გამჭვირვალე და დემოკრატიულ სამყაროში წარმატებით აპრობირებული მეთოდია.

მოქალაქეებს შესაძლებლ-ობა გეძლევათ, საკრებულოს თავმჯდომარის, მერის და წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი ორგანოს ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირის წინაშე დააყენოთ პრობლემები, ინიციატივები და უშუალოდ მათგან მოისმინოთ პას-უხები თქვენ მიერ დაყენებულ საკითხებზე.“

დილიდან ათეულობით მოქალაქე ჩაეწერა რიგში ღია კარის სხდომაზე მოსახვედრად. 11 საათისთვის დაიწყო მოქალაქეთა მიღება, რომელსაც შესაბამისი დასახლებული პუნქტების მაჟორიტარი დეპუტატებიც ესწრებოდნენ.

„ღია კარის სხდომა“ ამომრჩევლებთან, მოქალაქეებთან ურთიერთობის კარგი ფორმაა, მაგრამ..., მაგრამ ის, რომ „მრგვალი მაგიდის“ ერთ მხარეს საკრებულოს მთელი კორპუსი იყო, ხოლო მეორე მხარეს ცარიელი სკამები იდგა, მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელების და სამსახურის უფროსების სახელებისა და გვარების წარწერებით... ღია კარის სხდომას დასაწყისში მერიის ერთად-ერთი თანამშრომელი, **კობა ხაბალაშვილი** ესწრებოდა.

მოქალაქეების მოთხოვნები სხვადასხვა იყო: ავარიული და მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი; გზა, განათება, სოციალური დახმარება და ა.შ.

*–ვითხოვ „გამგებელს“, სოფელ დვაბზუში გვყავს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ როდის დაგვინიშნავენ რწმუნებულს?-*ითხოვდა მუნიციპალიტეტის მერის პასუხს დვაბზუელი **ილია ღლონტი...**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“თავმჯდომარის მოადგილის **გელა ჩავლეიშვილის** სამუშაო ოთახში (იგი სოფელ ბოხვაურის მაჟორიტარი დეპუტატია), ამ სოფლის ჭალის უბნის მოსახლეობა ხმამაღლა გამოთქვამდა პროტესტს გზის ამორტიზებულობის გამო.

–20 წელზე მეტია, ბოხვაური-ჭალა-ცხემლისხიდის გზის რეაბილიტაციას ვითხოვთ. ძალ-იან მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ არ გვაქცევენ ყუ-რ-ად-ღებას. - აცხადებდნენ **ნელი თავაძე, მარინა, გიორგი გორგაძეები, ქრისტინა მალაზონია, ზოია კალანდ-არიშვილი, მანანა, ნატია ნაკაშიძეები, ტარიელ ანდღულ-აძე, ჟუჟუნა ყოფანი...**

ამ მოქალაქეებს ბოხვაურელი **ზურაბ გობრონიძე** უხსნიდა, რომ იგი, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, იმყოფებოდა ღია კარის სხდომაზე, გზის საკითხი დააყენეს და საკრებულო ამ თემაზე წერილობით მიმართავს მერიას...

კარგია ამომრჩევლებთან, მოქალაქეებთან შეხვედრა, მაგრამ ეს არ იყო სხვადასხვა ტრენინგებზე აპრობირებული „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაში. მრგვალი მაგიდის მეორე მხარეს არა წარწერები, არამედ მერიის ხელმძღვანელები, სამსახურების უფროსები უნდა

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 16 (10309) 22 აპრილი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთში შპს „სოფოს“ საწარმოო პროცესი აღუდგა, ლანჩხუთში დისკვალიფიკაცია მისცეს

ნინო შეწირული

ალიონი. მას შემდეგ, რაც სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონულმა სამმართველომ, ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე საბავშვო ბაღების მომმარაგებელ კომპანიაში, შპს „სოფო“ არაგეგმიური ინსპექტირება განახორციელა, ბაღების მომმარაგებელ კომპანიაში დაილუქა 164-კგ-მდე საქონლის ხორცი და 207 კგ ქათმის ფილე, რომელიც სააგენტოს ინსპექტორების ზედამხედველობით გაანადგურა.

ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობის გამო, მის აღმოფხვრამდე შეუჩერა (იხ. სტატია „იყო თუ არა ეს საბავშვო ბაღებში საეჭვო წარმომავლობის ხორცის შეტანის მორიგი მცდელობა“, „ალიონი“ №15).

შპს „სოფოს“ წარმომადგენელმა **ირმა ხაბაძემ** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ *„სურსათის უვნებლობამ ხორცის ნიმუში გადაგზავნა სამხარეულის ექსპერტიზის ბიუროში, ეგონათ ცხენი ან ვირი იქნებოდა, მიიღეს პასუხი, რომ ხორცი ვარგისი იყო.“*

თუ რა მდგომარეობაა ამჟამად, ამის შესახებ კომენტარი სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსს **ნინო შეწირულს** ვთხოვეთ: *–„164 კგ. საქონლის ხორცი, რომელიც სურსათის ეროვნული სააგენტოს ინპექტორების მიერ იქნა დალუქული და შემდეგ განადგურებული, იყო ორგანოლეპტიკურ მაჩვენებელზე (ფერი, სუნი) კონსტინტენციით დარღვეული,* ***ამიტომ მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე ლაბორატორიულ კვლევას არ ექვემდებარებოდა.*** *ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების, კონსისტენციის დარღვევის გამო, აღნიშნული ხორცი გამოსაყენებლად იყო უვარგისი.*

ქათმის ფილე აღნიშნული მაცივრის კამერაში არ უნდა დასაწყობებულიყო, ვინაიდან საქონლის ახალი ხორცი და გაყინული ქათმის ფილე სხვადასხვა ტემპერატურაზე ინახება.

რაც შეეხება შპს „სოფოს“, მან მოაგვარა კრიტიკული შეუსაბამობები, ამის შესახებ შესაბამისი განცხადებით მიმართა სურსათის ეროვნულ სააგენტოს

გვ-2

ვინ და რატომ უღალატა დეპუტატობის კანდიდატს?

კაკო თავდუმაძე საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულია

მარი კოკოევი

ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი, **კაკო თავდუმაძე** ოპოზიციურ პარტიებს „სიტყვის გატეხვაში“ ადანაშაულებს.მისი თქმით, კანდიდატად მას შემდეგ დარეგისტრირდა, რაც „ევროპული საქართველოდან“, „ნაციონალური მოძრაობიდან“ და „ლეიბორისტებიდან“ პირობა მიიღო, რომ ანასეული-სერი-ექადიის ოლქში კონკურენტს არ დაუყენებდნენ. მოგვიანებით, როცა თავდუმაძე უკვე ოფიციალურად დარეგისტრირდა, აღმოჩნდა, რომ დეპუტატობისთვის „ევროპული საქართველოდან“ კობა ზაქარეიშვილიც იბრძოლებს.

„შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში მიშა გოგოტიშვილმა მითხრა, ზემდგომმა გადაწყვიტა და კანდიდატს ვაყენებთო. ეს როგორი თამაშია-მეთქი. ასე გამოვიდა, რა ვქნათო. ყველა პარტიას აქვს უფლებ,ა დააყენოს კანდიდატი, მაგრამ მაშინ კარგად გაერკვე სიტ-უაციაში და ნუ შემიყვან თამაშში. ეს ჩემს გაბითურებას ნიშნავდა,“- გვიყვება თავდუმაძე.

ჩვენი რესპოდენტის თქმით, ოპოზიციონერებმა „კაცური შეთანხმება“ დაარღვიეს:

„ევროპულ საქართველოს“, „ნაციონალებს“ და „ლე-იბორისტებს“ ვუთხარი: მოი-ლაპარაკეთ ზემდგომებთან, თუ თქვენ არ დამიყენებთ კანდიდ-ატს, მე მზად ვარ, ვიყარო კენჭი, როგორც გაერთიანებუ-ლი ოპოზიციის კანდიდატმა-მეთქი. მივედით დათო მამალ-აძესთან. რომ იტყვიან, ჭიქა მივარტყით ჭიქაზე და შევ-თანხმდით. იქ იყვნენ მიხეილ გოგოტიშვილი და დავით მჟა-ვანაძეც. შოთა გოგიბერიძემაც იცოდა ჩემი პოზიცია. ხევს-ურეთში ღვინოში ჩათვლიდნენ ვერცხლს და შესვამდნენ. ფიც-ვერცხლ ნაჭამობა ჰქვიოდა ამას და ღალატი გამორიცხული იყო. ამ შემთხვევაში სიტყვა გატეხეს“.

თავდუმაძე გვეუბნება, რომ „ევროპული საქართველოს“ ლიდერებმა მას მათი კანდიდატის სასარგებლოდ მუშაობა შესთავაზეს:

„როცა გიგი უგულავასთან ერთად ევროპული საქართველოს წევრები ანასეულში მიდიოდნენ კანდიდატის წარსადგენად, პირველად ჩემთან გამოიარეს. იფიქრეს, იოლად „შემკერავდნენ“. მითხრეს, ჩვენთან გადმოდი, შტაბს ჩაუდექი სათავეშიო.. ბუნებრივია მომცემდნენ სოლიდურ ანაზღაურებას. ასე მყიდულობდნენ უბრალოდ. მართალი გითხრათ, ,როგორც ყველას, მეც მინდა ფული, მაგრამ ადამიანმა ზნეობა უნდა შეინარჩუნო, ფულზე ყველა-ფერი არ უნდა გაყიდო. ხალხმა იცოდა, რომ მე დავრეგისტრირდი დეპუტატობის კანდიდატად. ბევრს შევხვდი და მხარდაჭერა გამომიცხადეს, ახლა რა მეთქვა, ფულზე გავიყიდე მეთქი?“

დავინტერესდით, დაგვიდასტურებდნენ თუ არა კაკო თავდუმაძის მონაყოლს ამბის სხვა მონაწილეებიც. ამიტომ ოპოზიციური პარტიების ადგილობრივ ლიდერებს დავუკავშირდით.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

რატომ არ შეხვდნენ „ღია კარის დღეზე“ გამოცხადებულ მოქალაქეებს ქალაქის მერი და თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის სამსახურების ხელმძღვანელები???

დახვედროდნენ მოქალაქეებს.

ბუნებრივია, ამ თემაზე მერიას ექნებოდა მოსაზრება, ამიტომ რედაქციამ კომენტარისთვის მერიის პრესსამსახურის უფროსს **ეკატერინე მგელაძეს** *მიმართა (12 სთ. 18 წთ). საღამოს 8 საათისათვის მივიღეთ მერიის პასუხი:*

„ღია კარის დღეზე მერიის თანამდებობის პირების მოწვევის შესახებ საკრებულოს წერილის პასუხად, გამომდინარე იქიდან, რომ 16 აპრილს მერიის სამსახურის უფროსებს და ხელმ-ძღვანელ პირებს ჰქონდათ უკვე დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიება, მუნიციპალიტეტმა ითხოვა შეხვედრის 1 დღით გადავადება...“

აღნიშნულზე კომენტარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს **ნათია ზედგინიძეს** *ვთხოვეთ:*

„ღია კარის სხდომის ჩატარების შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება გამოიცა 27 მარტს, რომელიც გამოქვეყნდა ვებგვერდზე. 2 აპრილს მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე გაკეთდა განცხადება ღია კარის სხდომის ჩატარების და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. საკრებულოს მორიგ სხდომაზე, შემდგომ უკვე ბიუროს სხდომაზეც, რომელსაც ესწრებოდა მერის მოადგილეც და მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, კიდევ ერთხელ გაჟღერდა ღია კარის სხდომის ჩატარების თარიღი და საკრებულომ მოუწოდა მოქალაქეებს აქტიურობისკენ. ღია კარის სხდომის, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ერთ - ერთ კარგ მექანიზმზე საკრებულომ ისაუბრა 8 აპრილს – სამუშაო შეხვედრაზე, სამხარეო ადმინისტრაციაში, რომელსაც ესწრებოდა მხარის გუბერნატორი, მერი, მერის ვიცე მოადგილე და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ მოხდა სზოგადოების ინფორმირება ღია კარის სხდომის ჩატარების შესახებ. დამატებით მერიას წერილი ამ საკითხზე გაეგზავნა 12 აპრილს, საკრებულოს აპარატის მიერ. მოქალაქეთა ინფორმირება დამატებით უზრუნველყვეს საკრებულოს მაჟორიტარმა წევრებმა, მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში. შესაძლებლობის ფარგლებში საკრებულომ ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება მოახდინა ოპერატიულად. ამას მოწმობს ღია კარის სხდომაზე მოქალაქეთა აქტიურობა და მაღალი ინტერესი. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებმა პროცედურების შესაბამისად რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს რეგისტრაციის გავლა საკრებულოს აპარატში. ბუნებრივია საკრებულო არის ის ორგანო, რომლისთვისაც მოქალაქეთა ინტერესების დაცვაა უპირატესი“ –განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ ნათია ზედგინიძე.

ახალი სარაგბო ბაზის ესკიზური მოდელის პრეზენტაციაზე

საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გაიოზ მონიავამ და „რაგბის განვითარების კავშირის“ წარმომადგენლებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალი სარაგბო ბაზის ესკიზური მოდელის პრეზენტაცია გამართეს.

პროექტი ზვანში არსებულ სარაგბო კლუბ „არწივების“ ტერიტორიაზე განხორციელდება და ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში, ასევე, მათ ჩართულობას სპორტის ამ სახეობაში.

ამ ეტაპზე სარაგბო კლუბ „არწივებს“ 120 სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის აღსაზრდელი ჰყავს და სამომავლოდ კლუბის ხელმძღვანელი თენგიზ კალანდაძე, ბავშვთა რაოდენობის გასამმაგებასაც ვარაუდობს. იდეის ინიციატორი ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე გახლავთ.

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„მრგვალი მაგიდა“ პროექტის ფარგლებში „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა“ გურიის მთიანეთში

ხუთშაბათს, 18 აპრილს 12 სთ-ზე ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში „გურიის განვითარების კავშირის“ ორგანიზებით გაიმართა „მრგვალი მაგიდა“ პროექტის ფარგლებში: „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა გურიის მთიანეთში“.

პროექტის მიზანი იყო სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და მათი გააქტიურება თემში, გამოცდილებაზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.

პროექტში ჩართული იყვნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს მთავარი სპეცალისტი თამარ ოგანოვა, ფერმერი, მეწარმე ლალი ჩანქსელიანი და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა თემში ქალთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, მათი პრობლემებისა და საჭიროების შესახებ კვლევის ანგარიში და გაიმართება დისკუსია.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროგრამა „ქალები 2030“ Women 2030 ფარგლებში. „ქალთა ფონდი საქართველოში და „ქალების საერთო მომავლისთვის“ პროექტის ფარგლებში: „ქალთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად.“

სიმინდის მასივების მფლობელ ფერმერებთან შეხვედრა

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის წარდგენის მიზნით, ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის სპეციალისტები, სახელმწიფო რწმუნებული გურიაში ზურაბ ნასარაია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები სიმინდის მასივების მფლობელ ფერმერებს ხვდებიან.

საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა, ლაშა შალამბერიძემ, შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფოს მიერ, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, 2019 წელს დაგეგმილი და უკვე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაცია სპეციალისტებისაგან მიიღონ. აღინიშნა, რომ მავნებელთან ბრძოლისას მაქსიმალური ეფექტის მისაღებად აუცილებელია ფერმერებისა და მოსახლეობის ჩართულობა.

დაინტერესებულ პირებს ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ **SMS** რეგისტრაცია საკოორდინაციო მართვის ცენტრის ოფიცია-ლურ ვებგვერდზე - **www.pa-rosa-na.ge**-ზე და მოკლე ტექსტური გზავნილების მეშვეობით მიიღონ დეტალური ინფორმაცია ღონისძიებების დაწყებისა და განხორციელების ვადებზე.

ჩემი არჩევანი-ჩემი მომავალია

ალიონი. *პროექტი „ჩემი არჩევანი-ჩემი მომავალია“ გულისხმობს ახალგაზრდა ამომრჩეველისთვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით არაფორმალური განათლების შეთავაზებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართვას დემოკრატიული არჩევნებისა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებით (ტრენინგები, ფლეშმობები,იმიტირებული საარჩევნო პროცესი) ახალგაზრდები გაზრდიან არჩევნების პოპულარიზაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და აიმაღლებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას.*

პროექტი, რომლის დირექტორიც ეკა ნინიძეა 15 აპრილიდან-15 ივნისამდე პერიოდს მოიცავს . პროექტს განათლებისა და თანასწორობის ცენტრი განახორციელებს.

ვინ და რატომ უღალატა დეპუტატობის კანდიდატს?

კაკო თავდუმაძე საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულია

მიხეილ გოგოტიშვილი („ევროპული საქართველო“): *კაკო იყო დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც მართავდა ჩვენთან კონსულტაციებს.კონსულტაციები გვქონდა, მაგრამ საბოლოო შეთანხმებამდე არ ვიყავით მისული. მე ვთავაზობდი ბატონ აკაკის წარედგინა კანდიდატურა „ძალა ერთობაშიადან“, ვინაიდან გასულ წელს დატოვა „ლეიბორისტული“ პარტია და შეუერთდა „ძალა ერთობაშიას“ პოლიტიკურ გუნდს. მაგრამ მან ამჯობინა ყოფილიყო დამოუკიდებელი კანდიდატი. მე ვეუბნებოდი, თუ იქნებით თქვენ „ძალა ერთობაშიადან“, დაგეხმარებით-მეთქი. ამას ვეუბნებოდი იმიტომ, რომ ცენტრალურ დონეზე ჩვენს პარტიებს აქვს მემორანდუმი და შეთანხმ-ება, ერთმანეთს კანდიდატურებს არ დაუყენებდნენ. ისე, მავალითად, როგორც ხდება ზუგდიდში, ქალბატონი სანდრა იყრის კენჭს და „ევროპული საქართველო“ ეხმარება. მან მაინც გადაწყვიტა ყოფილიყო დამოუკიდებელი და შესაბამისად ჩვენი კონსულტაციებიც დასრულდა.*

დავით მამალაძე („ლეიბორისტული პარტია“): *ასეთი შეთანხმება ნამდვილად იყო ადგილობრივ დონეზე. ჩვენ არ წამოვაყენებდით პარტიულ კანდიდატს და ნეიტრალურ კანდიდატს დავუჭერდით მხარს. ადგილობრივ დონეზე ეს შეთანხმება არ ჩაშლილა, მაგრამ როგორც კი „ევროპული საქართველოს“ლიდერები თბილისში მიხვდნენ, რომ ოპოზიციის მხარდაჭერილ კანდიდატს გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდა, ალბათ, შევიდნენ ალიანსში ხელისუფლებასთან და დააყენეს თავიანთი კანდიდატურა. მაგრამ „ნაციონალების“ და „ევროპული საქართველოს“ რაიონული წარმომადგენლები მაინც კაკო თავდუმაძეს უჭერენ მხარს. როგორც ჩანს, პარტიის ცენტრალური ლიდერები შეკრულები არიან ხელისუფლებასთან და თამაშობენ ბინძურ თამაშებს. ჩვენ ნიღაბი ჩამოვხადეთ ორივე პოლიტიკურ ძალას. მაგრამ არ გამოუვათ, კაკო თავდუმაძე უალტერნატივო კანდიდატია. „ევროპული საქართველო“ რომ სიტყვას გატეხდა ვიცოდი. მეორე მსოფლიო ომი რომ მთავრდებოდა, ჩერჩილმა უთხრა სტალინს: ჰიტლერს რომ დავიჭერთ, როგორ დავსაჯოთო? სტალინმა უთხრა, რკინის ნაჭერი ავიღოთ, ცალი მხარე გავახუროთ და მეორე ცივი მხარით დავურჭოთ ჰიტლერსო. გაუკვირდა ჩერჩილს თუ მაინც ცივი მხარით არჭობ, რაღას ახურებ რკინასო? იმიტომ, რომ შენ და რუზველტმა არ გამოაძროთო, იყო პასუხი. არ ხართ საიმედო პარტნიორებიო უთხრა სტალინმა. ასეა ნაცების და ქოცების საქმეც“.*

დავით მჟავანაძე („ნაციონალური მოძრაობა“): *იყო ასეთი შეთანხმება. ჩვენ შევასრულეთ პირობა და არ წარგვიდგენია კანდიდატურა. „ევროპული საქართველოს“ ნაცვლად, მე ვერ გაგცემთ პასუხს.*

პარტიების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი დამოუკიდებელი კანდიდატი პოზიციების დათმობას არ აპირებს:

„კენჭს თუ იყრი, უნდა გაიმარჯვო. არჩევნები ოლიმპიადა არაა, მონაწილეობა რომ იყოს მთავარი. მეორე ადგილისთვის არასდროს ვიბრძოლება. გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, გავიდოდი თამაშიდან. ზაქარეიშვილი მესამე ადგილზე უნდა „დავაჯინო“.

-რომელ კანდიდატს განიხილავთ თქვენს უშუალო კონკურენტად?

-ჩემს უშუალო კონკურენტად დათო მდინარაძეს განვიხილავ, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ზაქარეიშვილს კონკურენტად არ მივიჩნევ. მაჟორიტარ დეპუტატად აყენებ თბილისში მცხოვრებ კაცს. აქ რიგითი დეპუტატის ანაზღაურება 450 ლარია. რისთვის უნდა ჩვენთან დეპუტატობა? 450 ლარი მარტო ბინის ქირად არ ეყოფა. რა მუშაობა უნდა მოსთხოვო მას?!

-რატომ გადაწყვიტეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

- ხელისუფლება, ცოტა არ იყოს, თავხედობს.„ოცნების“ წევრები ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. ავადმყოფი გახდა პარტია. ჩემი მიზანია, როგორმე შევასუსტო მათი ძალაუფლება. როცა საზოგადოება ყვითელ ბარათს აჩვენებს, ხელისუფლება უფრო გონიერი და დაფიქრებული ხდება. ფიქრობს, ამ ხალხს არ მოვწონვარ და მოდი უკეთესად ვიმუშავოო.

-თქვენ, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, არჩევნების მოგებისთვის საჭირო ფინანსებს როგორ მოიძიებთ?

— ფულადი რესურსი არ მჭირდება. ვერ ვხდები, არჩევნებზე ფული რისთვის უნდა დავხარჯო?! მხოლოდ არჩევნების დღეს დამჭირდება 50-70 ლარი ბენზინისთვის. საკუთარ პიჯაკს თუ ვიყიდი, ამისთვის საარჩევნო ფული არ მჭირდება და იმ დღეს მჭირდება ფინანსები მხოლოდ ბენზინისთვის, დაახლოებით 50-70 ლარი. უბნებზე წარმომადგენლებს კი უნდა ანაზღაურება, მაგრამ მაგასაც მოვაგვარებ. ახლობლებს გავუშვებ, ვინც ანაზღაურებას არ მომთხოვს. მეტი რაა, საჭირო საკუთარ პიჯაკს თუ ვიყიდი, ამას საარჩევნო ფინანსები არ უნდა.

სინდისის დეპუტატი — ასე წარმოუდგენია არჩევნების შემდეგ საკუთარი თავი კაკო თავდუმაძეს:

„მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, მივალ ხალხთან. ხალხის მაჯაზე უნდა მედოს ხელი. არ დავჯდები მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სხდომებზე და არ დაველოდები ხელფასს. ხალხზე უნდა გააკეთო სწორება და არა საკუთარ ჯიბეზე.როცა შევალ საკრებულოში, ნებისმიერ პარტიასთან, მათ შორის ოცნებასთან, თანამშრომლობა შემიძლია. მხარი უნდა დავუჭირო ნებისმიერი პარტიის მიღებულ იმ გადაწყვეტილებას რომელიც ხალხისთვის იქნება სასარგებლო და საჭირო“.

ოზურგეთში შპს „სოფოს“ საწარმოო პროცესი აღუდგა, ლანჩხუთში დისკვალიფიკაცია მისცეს

და მას ამჟამად საწარმოო პროცესი აღდგენილ იქნა“ — გვითხრა ნინო შეწირულმა.

18 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიერ ხორცპროდუქტების მიწოდებაზე შპს „სოფოს“ დისკვალიფიკაცია მიეცა.

კერძოდ, შპს „სოფომ“ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) მიიღო მონაწილეობა და ხორცპროდუქტების მიწოდებაზე ვალდებულება აიღო კონკრეტული მწარმოებლის სახელით ისე, რომ ამ კომპანიასთან არ ჰქონდა შესაბამისი პარტნიორული ურთიერთობა.

აღნიშნული გარემოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მიერ გამოვლინდა ხელშეკრულების გაფორმების სტადიაზე. შესაბამისად შპს „სოფოს“ დაუყოვნებლივ მიეცა დისკვალიფიკაცია.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით მიმდინარეობს შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა.“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრმა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე 26 მარტს გამოაცხადა. სატენდერო თანხა 129 600.00 ლარი იყო. ამ ტენდერში გასულ კვირაში შპს „სოფომ“ გაიმარჯვა. თუ რა გახდა „სოფოსთვის“დისკვალიფიციის მიცემის მიზეზი, ამაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელს **ნატა კობალავას** ვესაუბრეთ:

„ამ ეტაპზე გადაუდებელი აუცილებლობის წესით ხორცს ვყიდულობთ ინდ მეწარმე ნათია ცინცაძისგან. შპს „სოფომ“ ელექტრონულ ტენდერზე წარმოადგინა ყველაზე დაბალი ფასი და შერჩევა-შეფასების ეტაპი გადალახა. მისი წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე დოკუმენტაცია, აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი იყო მოქმედი კანონმდებლობასთან. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპამდე რომ მივედით, მან მიმწოდებელ კომპანიად დაასახელა შპს „ჰალან ჯგუფი“. შპს სოფომ გადმოგვიგზავნა შპს „ჰალან ჯგუფის“ აღიარების ცნობა, რომელიც სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ არის გაცემული და რომელიც აღნიშნულ შპს-ს აძლევდა ხორცის წარმოების უფლებას. სწორედ ამ საბუთის საფუძველზე სატენდერო კომისიამ იმსჯელა, მიანიჭა „სოფოს“ გამარჯვებულის სტატუსი და ხელშეკრულების მომზადებამდეც კი მივიდა საქმე.



ნატა კობალავა

სატენდერო კომისიამ ხელშეკრულების გაფორმების დღეს ჩართვალა საჭიროდ გადაემოწმებინა რა სახის პარტნიორული ურთიერთობა ქონდათ მათ. მათაც ხომ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობის რაღაც ფორმა დაწესებული? იმიტომ რომ შპს „სოფო“ როცა ჩემთან აფორმებს ხელშეკრულებას, ეს ხდება „ჰალან ჯგუფთან“ მოლაპარაკების საფუძველზე.დაგვაინტერესა, ჰქონდა თუ არა ინფორმაცია, რომ ლანჩხუთის ბაღებში შევიდოდა მისი პროდუქცია. მივწერეთ და მოგვივიდა ოფიციალური ოფიციალური პასუხი. ***წერილში ნათლად წერია, რომ შპს „სოფოსთან“ არანაირი პარტნიორული ურთიერთობა არ აქვთ და ისინი არ აღებენ პასუხისმგებლობას ბაღებში ხორცის შეტანაზე. ამ პასუხის საფუძველზე მიიღო შპს „სოფომ“ დისკვალიფიკაცია“.***—*გვითხრა ნატა კობალავამ.*

„მახოხიასთვის“ მწვანე შუქი სტანდარტისა და კანონის დაცვას მოაქვს

„იყო თუ არა ეს სბავშვო ბაღებში საეჭვო ხორცის შეტანის მორიგი მცდელობა“ (წითელი ბარათი სოფოს მწვანე შუქი „მახოხიას“) — ამ სათაურითა და ქვესა-თაურით „ალიონის“ წინა ნომერში მასალის გამოქვეყნების შემდეგ, გასულ ხუთშაბათს რედაქციაში ინდმეწარმე ბატონი ამირან კაკურია (ზედმეტსახელად „მახოხია“) გვწვია თავის ვაჟთან, გიორგისთან ერთად.

ბატონი ამირანი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს შპს „სოფოს“ პასუხისმგებელი პირის ირმა ხაბაძისგან, ვისი კომენტარიც გამოვიყენეთ ხსენებულ წერილში. სტუმარმა პირდაპირ გვითხრა, წესით, ალბათ, ჩემი კომენტარიც უნდა ყოფილიყო ამ წერილში, რადგან ასე არ მოხდა, გთხოვთ ახლა მაინც გამომქვეყნოთო და წერილი დაგვიტოვა. საკმაოდ ლოგიკური თხოვნაა და ყოველგვარი მინაწერის გარეშე ვაქვეყნებთ ბატონი ამირანის საპასუხო კომენტარს:

„ძვირფასო გურულებო, ძვირფასო საქართველოს მოქალაქენო!

მოგახსენებთ, რომ პირუტყის პირველი სასაკლაო გურიაში გაიხსნა ჩემთან. გავხსენი ყველა სტანდარტის დაცვით. პირველმა დავანერგვინე შ-ის პროგრამა. მაქვს აღიარება. სასაკლაო გაყოფილია ორ ზონად. ერთ მხარეს არის სასაკლაო, მეორე მხარეს — სუფთა ზონა, მაცივრები და ყველანაირი პირობები ხორცის დარბილებისა და ობიექტებში შეტანისათვის.

ჩემთვის უცნობი ქალბატონი, ვინმე ესმა, ვისაც ჩემი სახელიც არ ცოდნია წესიერად, გაღიზიანდა იმით, რომ ოზურგეთში დროებით ხორცი თურმე არ უნდა შემეტანა და სბავშვო ბაღების ბავშვები მშივრები დარჩენილიყვნენ.

ქალბატონ ირმას ჩემთვის ჩარქის მოცხებას ურჩევნია: საეჭვო ხორცს ნუ შეიტანს სბავშვო ბაღებში, რაც რამდენიმე თვის წინ დაფიქსირდა; ხორცს ნუ დაარბილებს ძალლებთან ერთად, ამის ამსახველი ფოტოსურათებიც არსებობს; ასევე მიხედოს იმას, თავის მაცივარ-მანქანებში „ვალინკებით“ რომ დადიან ბაღებში ხორცის შეტანისას.

რაც შეეხება ტენდერებს, მართალს ამბობს ეს ქალბატონი, ყოველთვის იგებს დაბალი ფასით, ოღონდ მერე, როგორც უკვე ვთქვი, საეჭვო ხორცი შეაქვს სბავშვო ბაღებში. მე ამას ნამდვილად ვერ ვიზამ, რადგან 11 შვილიშვილის პატრონი ვარ, გარდა ამისა, ხარისხიანი ხორცი და ხარისხიანი მომსახურება ძვირი მიჯდება.

სასაკლაოზე მყავს ძალიან კანონმორჩილი და უაღრესად მცოდნე ვეტერინარი (ექიმი) ნესტან ძნელაძე, რომელიც მაღალი დონით იცავს კანონის ყველა მუხლს და სტანდარტებს. მყავს ორი გამართული მაცივარ-მანქანა“.

წითელი ბარათი „სოფოს“, მწვანე შუქი „მახოხიასო“, წერთ გაზეთში. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ დონეზე გადაამოწმოთ, რომ მე ვიცავ ყველანაირ სტანდარტსა და კანონს, ქალბატონი ირმა კი — არა. ამიტომაც „ატორმუზებს“. წითელზე.

ამირან კაკურია.

„ვა, სოფელო, რა შიგა გაქ“...

თბილისში ვარ, ვაგზლიდან ვარკეთილისკენ მივდივარ სამარშრუტო მიკროავტობუსით და ის მიმაქვს, გზაში რომ წელს მოგწყვეტს და სახლში რომ არაფერი გამოჩნდება. დემირა და კივი აბგაში მიწყვია, ბადურაში გამოკონჭილი, ასე, თორმეტკილოიანი გურული ხაპი კი, რომელიც სანახევროდ თბილისელი შვილიშვილის მოყვანილია, იქვე, ფეხებთან მიდევს. გაჩერებაზე ვიღაც ლაწირაკი ამოვიდა, აი, ისეთი, ყველაფერი რომ ფეხებზე ჰკიდია, აბგას განგებ წამოედო, დამცინავად დამხედა, „ვა, სოფელო, რა შიგა გაქო“, – ჩაიცინა და მკითხა, ეს გოგრაა თუ კვახია? ხაპია, კვახი თვითონა ხარ და შუაზე უნდა გაგხეთქოს კაცმა, – ვუპასუხე. წადი, შენიო, – ლაწირაკმა ხაპს წიხლი ჰკრა. წამოდგომა დავაპირე. ვიღაცამ უკანიდან მხარზე ხელი დამადო, იჯექი, ბაბუო, მითხრა, მიკროავტობუსის კარსა და საფეხურს შორის ჩავარდნილი, ყუნწმოწყვეტილი ხაპი ამოიღო და უკან დამიბრუნა, მძღოლს გაჩერება თხოვა, ლაწირაკს ქეჩხოში წვდა და ხელში ატაცებული ასფალტზე დაანარცხა. ბოლოს იმდენი სიკეთე ჰქნა, ლაწირაკის ნაწიხლარი აბგა და კვახი სადარბაზოში შემატანინა, მე გიცნობ შენო და ზედა სართულისკენ აუყვა.

შვილიშვილის მოფერებით გული რომ ვიჯერე, სიძეს მოვუყევი, რაც გადამხდა. ვალერა ყოფილა, ქურთი, კარგი ბიჭია, მეოთხე სართულზე ცხოვრობსო, მითხრა. ეს სამი წლის წინანდელი ამბავია. შარშან, მე რომ მიკროავტობუსში შემხვდა, ისეთ ნაძირალებს, თავისივე უბანში მუხანათურად მოუკლავთ ვალერა. სიძიდან ვიცი ეგ ამბავი.

ახლა კი, იმ თემაზე გადავიდეთ, რომელმაც მიკროავტობუსიდან ჩაგდებული ნაძირალას უხამსი სიტყვები სათაურში გამომატანინა, რისთვისაც, რასაკვირველია, ბოდიშს ვიხდი. შეიძლება, იფიქრო, მთლად წასულა ეს მოხუცი ხელიდანო, შეგიძლია, „ხურდაც დამიბრუნო“, ან სულაც „აბაროტი“ ამიღო, მაგრამ ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როცა უბედურების არსს სხვა, უფრო მსუბუქი სიტყვებით ვერ გადმოგცემ. უბედურება კი ისაა, რომ ქართულ სოფელს დედა ვუტირეთ, ამაზრზენ ხარაბად ვაქციეთ (ხარაბა – გაჩანაგებული, მიტოვებული ადგილი).

სოფლის ნასოფლარად ქცევას, – მთიდან რომ დაიწყო, ზეგანში რომ გადმოინაცვლა და ბოლოს ზღვამდე დაეშვა, – მხოლოდ კომუნისტებს ნუ ავკიდებთ, მათ თავიანთი სხვა ცოდოებიც ეყოფათ, გუშინდელ და დღევანდელ ხელისუფლებებსაც მოვკითხოთ, რამეთუ უგნური პოლიტიკით, ნაცვლად როგორმე შეჩერებისა, დააჩქარეს ეს დამღუპველი პროცესი და ფაქტობრივად გამოშიგნეს სოფელი. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მამულ-დედულის გადასარჩენად, დიდად არც ჩვენ დაგვიკაპიწებია მკლავი, სხვას შევატოვეთ საჯიჯგნად და რა გასაკვირია, რომ დღეისდღეისობით ამ მდგომარეობაშია ჩვენი მარჩენალი?!

გურიის დაცარიელებულ სოფლებში დღეს ტურაც არ კივის, ნახევრად დაცარიელებულში კანტიკუნტად შემორჩენილი მოსახლეობა კი არ ცხოვრობს, არსებობს, კბილი სულით უჭირავს, დაუცარიელებელი კი, როგორც ასეთი, თვით ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ოზურგეთიც აღარაა, განსაკუთრებით მისი გარეუბნები, სადაც ყოველ ათიდან მინიმუმ ერთ ჭიშკარს ჟანგიანი ბოქლომი ადევს თუნუქის აბრით „იყიდება“.

მცენარეულობიდან ჩვენს სოფლებში ყველაზე მეტად გვიმრა ხარობს, არა იმიტომ, რომ უძველესი მცენარეა, არამედ იმიტომ, რომ 30 წელზე მეტია, მიწის სავარგულების 40 პროცენტისთვის ცელი, თოხი და ბარი არავის დაუკარებია. გვიმრითაა გადაფარული ოდესღაც ხავერდოვანი ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღები, საყანე და საბაღჩე ფართობები.

გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფლების ერთ წარმომადგენელს რომ ვუთხარი, კომუნისტები სოფელს უკეთ პატრონობდნენ-მეთქი, უვიცი ყოფილხარ, კომუნისტების „ფართხუნს“ ჩვენს „მოღვაწეობას“ როგორ ადარებო? – ისე მომახალა, გარიდება ვარჩიე. ფართხუნი უძახე შენ და მაშინ მიწათმოქმედებაც უკეთეს დღეში იყო და მეცხოველეობაც, ყოველ შემთხვევაში, გლეხი შრომობდა და თავისი ნაშრომით ოჯახს თავისუფლად არჩენდა, სოციალური დახმარება მომეცითო, არ მათხოვრობდა, სტუმრის მიღებისა და მტრის მოგერიების შნო ჰქონდა. დავუშვათ, კომუნისტები ფართხუნობდნენ, მაგრამ ესენი (გუშინდელიცა და დღევანდელიც) რომ პარტყუნობენ, ამ პარტყუნით სოფელი აშენდება? ქალაქი დამშვენდება? ერი გადაგვირჩება? სახელმწიფოებრივობა შეგვინარჩუნდება?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმდენს ვერ ხვდებიან, რომ სოფელს აგრონომი და ვეტექიმი სჭირდება, ანუ ის ხალხი, ვინაც იცის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ავანჩავანი. ვერ დამისახელებთ სოფელს, სადაც ამ პროფესიის ადამიანები იდგეს ხალხის სამსახურში. ბიუჯეტი სჭირდება სოფელს თავისი, საკუთარი და არა ე. წ. „სოფლის დახმარების პროგრამით“ გამოყოფილი სახსრები, თითქოსდა მოსახლეობისგან პრიორიტებად მიჩნეულ საქმიანობაზე დასახარჯი, სინამდვილეში კი ფასადური პოლიტიკის გადამფარველი, რაც სოფელს, ფეხზე წამოყენების ნაცვლად, სახსრებში შლის. აიჩემეს ეს მოსაცდელები, შეიტანენ სოფელში 500-600 ცალ მოსაპირკეთებულ აგურს და რამდენიმე ცალ მეტალოპლასტიკის სახურავს, ააგებენ ჭვარ-ჭვალა ხუხულას, ჩავლენ, გახსნიან და აპიარებენ და აპიარებენ თავიანთ ვებგვერდებზე თუ სოციალურ ქსელებში. ეს რა კარგი რამ აგიგიათო, პიარზე კვერს დაუკრავს თეთრებისა თუ ცენტებისთვის კაბინეტების კარს მიძუძგურებული, მათთვის სანდო მედიასაშუალება და „მორჩა კინო, წაით სახლში“. ასეთ მოსაცდელებს ძველად თვითონ სოფელი აგებდა თხმელითა და რუბეროიდით, უფრო გადასაყუდრებლად და მოკრეფილი ჩაის გასაშლელად. მათ კარვებს ეძახდნენ. მართალია, ვიზუალურად მთლად ისე ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ ექსპუატაციის ვადით (4-5 წელი) არ ჩამორჩებოდა ამ „ფეშენებელურ“, „საატკატოდ“ ხელსაყრელ მოსაცდელებს, თანაც იაფი ჯდებოდა.

ჩაი – გურიისთვის სტრატეგიული და არა პრიორიტეტული კულტურა, რომელიც მხარისა თუ რაიონის ეკონომიკის თითქმის ნახევარს ქმნიდა, მონოკულტურად გამოაცხადეს და ხალხს ისე შეაძულეს, ძირ-ფესვიანად ამოათხრევინეს. ისიც მახსენდება, მანამდე, თითქოსდა ჩაის დარგის გადასარჩენად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით თანხებს რომ გამოჰყოფდნენ და ამ თანხის ნაწილს უცხოელ ინვესტორებს, მაგალითად, „მარტინ ბაუერს“ უწიადებდნენ. როცა დავწერეთ, ინვესტორს უნდა გაჰქონდეს თუ შემოჰქონდეს-თქო, ქვეყნის მაშინდელმა პირველმა პირმა თქვა, „მარტინ ბაუერი“ მხოლოდ ინვესტორი არაა, პოლიტიკაო. დიდ პოლიტიკასა და დიდ პოლიტიკოსებს (განსაკუთრებით ქართულსა და ქართველებს) ასე ადვილად რას გაუგებ კაცი, მაგრამ არა მგონია, მხოლოდ ინვესტორის, იგივე ვინმეს ტორის მოიმედე ქვეყანა ეკონომიკურად წელში გაიმართოს. ამის ნათელი მაგალითია ბოლო ოცდაათი წელი, როცა თითქოს ეკონომიკური წინსვლა გვაქვს და სინამდვილეში ხალხისთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა.

ჩაის, როგორც დარგის, გაჩანაგება არც შემდეგ წლებში შენელებულა, პლანტაციების ამოძირკვას, ფაბრიკების-ქარხნების დაშლა და დანადგარების ჩალის ფასად გათურქეთება მოჰყვა.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები ჯერ კიდევ როდის გაიძახოდნენ, ჯიშთგამოცდის შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე, მრავალწლიანი კულტურების წარმოებაში დანერგვა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანსო. მიგვიყვანა კიდეც. გადავხედოთ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში რამდენი სასოფლო-სამეურნეო კულტურა შემოვიტანეთ და რამდენმა გაამართლა. იმ გამართლებულთაგან რომელი ერთი გაუწევს კონკურენციას ჩაის.

ჩაი, სასმელი წყლის შემდეგ, ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია მსოფლიო მასშტაბით, შემდეგ მოდის ლუდი და ყავა. ამასთან ჩაიზე მოთხოვნილება წლითიწლობით საგრძნობლად იზრდება. რომ ძირკვავდით, რას ძირკვავდით?! ახლა მაინც გამოიფერთხეთ ყურები და ყოველგვარი თავის მართლების გარეშე, იფიქრეთ ჩაის პლანტაციების აღგენასა და გაშენებაზე. ძვირი ჯდება და ეტაპობრივად უნდა მივყვეთო, უბრძანებიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. იაფი ჭადიც აღარაა დღეს. ვეღარ ხედავთ, რომ ჩაის ჩამნაცვლებელმა, სხვადასხვა დაავადების ადვილად შემთვისებელმა და აზიური ფაროსანას საკბილო თხილმა და სხვა კულტურამ საერთოდ უკულტუროდ და უფულოდ დაგვტოვა?!

„აღარ ჩამოვა ცით რუსი, არ გასაღდება ციტრუსიო,“ – სოფელ მერიაში მითხრა ერთხელ ერთმა მეციტრუსემ, რომელიც აჩეხილი მანდარინისა და ფორთოხლის ვარჯებს კიტრის ფორჩხებად იყენებდა (ლიმონისა არ გამოდგება, ეკლიანიაო). რუსი შორს, მაგრამ ჩვენს სოფლის მეურნეობაში რენტაბელობით მეორე დარგს – მეციტრუსეობას რას ვერჩოდით? დავიჯერო, რუსის გარდა, არავის უნდა ჩვენებური მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი? თუ უნდათ, მაშინ რატომ ამოვავსეთ და გადავაყვითლეთ ღელეები ციტრუსოვანთა დამპალი ნაყოფით?

ეხ, ჩემო სოფელო, შეგვჭამა ამდენმა და ასეთმა პოლიტიკამ. ისე, შენც ატყობ, ალბათ, ამ ბოლო დროს როგორ გაჭირდა ეს პოლიტიკოსობა. ადრე „კმარას“ თუ დაიძახებდი, წარმატებული პოლიტიკოსის იმიჯი განაღდებული გქონდა, ახლა ჭიპზე უნდა გასკდე ძახილით „რუსეთი ოკუპანტია“, თან იმ ოხერ ჩრდილოელ მეზობელს გამომწვევად მოშიშვ-ლებული უკანალიც უნდა მიუშვირო...

ერთწლიანმა მარცვლოვანმა კულტურებმა უკვე რამდენიმე წელია ჭირი მოგჭამათ. ივნისში რომ ხვნა-თესვა არ გექნება დამთავრებული, რომელ მოსავალზე შეიძლება ლაპარაკი, ან რა მოვა ნახევრად დაჭაობებულ ფართობებში. რამდენადაც ვიცი, ასეთ ფართობებზე მხოლოდ ღომი და ბრინჯი მოჰყავთ, რასაც გურიაში წინა და მიმდინარე საუკუნეში სამრეწველო ხასიათი არ ჰქონია.

მეცხოველეობაში რომ გვიჭირდა და გვიჭირს, ეს უფრო გურული კუდაბზიკობის ბრალია. ოდითგანვე მეგრელ მეჯოგეებს ვანდობთით ამ საქმეს, საქონლიდან დაწყებული, იალაღით დამთავრებული. დღეს კიდევ აჭარელი მოსახლეობა რომ არ გვყავდეს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტვი, მხოლოდ სურათით გვეცოდინებოდა და შიმშილით ამოგვხდებოდა სული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება ამ დარგის მიმართაც არ ტყუის. თუ ხელისუფალი ხარ, თანაც ხალხის რჩეული, მაშინ მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგზე უნდა იზრუნო, თუ საჭიროა, ხალხი უნდა აიძულო კიდეც, რომ ხელი გააქანონ. დიღმიდან სოფლის მეურნეობის მართვა არ გამოვა, სოფელი სოფლიდან უნდა იმართოს.

მიწის ქვეყანა (გეორგია) იმდენს ვერ ახერხებს, რომ ბოსტნეული პროდუქტებით საკუთარი მოსახლეობა უზრუნველყოს, ექსპორტს ვინ ჩივის. გაჯერებულია ჩვენი ბაზრები თურქული კარტოფილით, კომბოსტოთი, პომიდორითა თუ კიტრით, რომელსაც, რომ მიუსაჯო, მისი მწარმოებელი თურქი პირს არ დააკარებს.

ახლა ქალაქად გადახვეწილ შენს შვილებთან მხოლოდ ერთი რამ გაკავშირებს, სოფელო, – შენს ყველაზე წმინდა ალაგას განფენილი მდუმარე სასაფლაო, შენი ნაშიერების ძვალთშესალაგი. მომავალ კვირას აღდგომაა. დაიძრებიან ქალაქიდან შენი ღიპდადებული შვილები და ორშაბათს მამა-პაპის საფლავზე წითელ კვერცხს გადააგორებენ, შესანდობარსაც იტყვიან, მერე მოჯდებიან შავ ჯიპებზე და ისევ ქალაქს წახრიგინდებიან. კარგია, რომ ამას მაინც აკეთებენ. სამწუხაროდ, სხვა ნათელ ფერს მე შენს თბილ სივრცეში ვერ ვხედავ. ვიცი, ბინდისფერია სოფელი, მაგრამ ჩვენ, ადამიანებმა რომ უფრო გავაბინდისფერეთ, ამის გაპროტესტება ვცადე და არ ვიცი, რამდენად გამომივიდა.

კიდევ ერთხელ გთხოვ მაპატიე, რაც წერილის სათაურში გაკადრე, მაგრამ შენც ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში ხარ და მანამ ასე იქნები, სანამ შენს მიწას მოუწყვეტელი შენი ღირსეული შვილები ხმას არ ამოიღებენ, გაზულუქებულ ხელისუფლებასა და თავისივე ჯიშჯილაგის ქალაქად გახიზნულ, ბაზრის კუნჭულებში შეყუჟულ ადამიანებს ყურში ხელს არ ჩაავლებენ და არ შთააგონებენ, რომ ქვეყანა სოფლიდან იწყება.

თემურ მარშანიშვილი.

ჭადრაკი

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატზე ოზურგეთის საჭადრაკო კლუბმა „გურიამ“ ,ბათუმში ადგილობრივ კლუბ „ნონასთან“ ფრედ ჩატარებული მატჩის შემდეგ, მესამე-მეოთხე ტური სახლში ლანჩხუთის „ლანჩხუთთან“ გამართა. წინასწარი პროგნოზები, რომლითაც უპირატესობას ოზურგეთელებს ძლევდნენ არ გამართლდა. „გურიამ“ მინიმალური სხვაობით (3,5-4,5) დათმო ორივე მატჩი. თუმცა ჯამური ქულებით (15 ქულა) ჯერჯერობით უსწრებს ლანჩხუთელებს (11). ოზურგეთელთაგან თავიანთ დაფებზე მაქსიმალური შედეგები აჩვენა **თენგიზ თოიძემ** და **ნიკოლოზ ბარამიძემ,** რომლებმაც ორივე პარტია მოიგო.

მორიგ ტურში ოზურგეთელები ქ.ხონში, საკმაოდ ძლიერ, ადგილობრივ კლუბს შეერკინება.

შაში

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა 2019 წლის მუნიციპალური ჩემპიონატი 64 უჯრიან შაშში, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა. სულ 14 ტურში 56 პარტია გათამაშდა. ფინიშის სწორზე სამ მონაწილეს - **ჯემალ კეჭაყმაძეს, ელგუჯა ურუშაძეს** და **ვოვა ქარჩავას** 9,5-9,5 დაუგროვდა. დებუ-ლების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში გამ-ოიყენება ე.წ. „ბერგერის კოეფიციენტი“, რომლის მიხედვით მცირე , მაგრამ მაინც უპირატესობა, აღმოაჩნდა **ჯემალ კეჭაყმაძეს** რო-მელიც ჩემპიონად გამოცხადდა. მეოთხე საპრიზო ადგილი 8,5 ქულით **ნატაშა მიზაილოვამ** დაიკავა.

პრიზიორებს შესაბამისი დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა, რომლებიც ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ - დაწესებულებათა გაერთიანებამ დააწესა.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი.

აქვს გარაჟი, ეზო 500 კვ.მ.

დაგვიკავშირდით:

(591) 15 57 57.

„გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“-ორგანიზაცია, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციურ მექანიზმებს ქმნის

არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ ოზურგეთში 2002 წელს დაფუძნდა და დღემდე 70-ზე მეტი პროექტი აქვს განხორციელებული.

თავადვე აღნიშნავენ, რომ წლების წინ მცირე რეგიონული ორგანიზაცია, დიდი ხანია გასცდა რეგიონს და დღეს უკვე დასავლეთ საქართველოს მას-შტაბით ახორციელებენ მსხვილ და წარმატებულ პროექტებს: „ზვიად ერა-ძის და თამარ ღლონტის დამსახურებაა პირველ რიგში ის, რომ მათ მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია წლების განმავლობაში წარმატებულად მუშა-ობს. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. მე ბევრ სექტორში მიმაშავია, საჯარო, კერძო, ბიზნეს სექტორში, მაგრამ ასეთი კომფორტული სამუშაო გარემო მართლა არსად არ მქონია“-ამბობს „გურიის მოამბესთან“ ორგანიზაციის პროექტების მენეჯერი, ოთარ რევიშვილი.

წლების განმავლობაში ორგანიზაცია, საჭიროებების კვლევას მოქ-ლაქეთა გამოკითხვებით, საინფორმაციო საშუალებებით, მედიით ახდენს, პროექტები კი იმ მიმართულებით იწერება, სადაც ძირეულ პრობლემებს აღმო-აჩ-ენენ.

პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის საკმაოდ საინტერესო მეთოდებს იყენებენ, მაგალითად ფორუმ თეატრს, რისი მეშვეობითაც, როგორც ჩვენთან საუბრისას პროექტების მენეჯერი ამბობს, გაცილებით მარტივია კომუნიკაცია ნებისმიერი ასაკის ადამიანთან, ბავშვთან, ახალგაზრდასთან... მისივე თქმით, ხელოვნება გაცილებით მარტივი და გასაგები ენაა, ვიდრე თუნდაც ნესტისმიერი კარგად მომზადებული პრეზენტაცია.

საკმაოდ ბევრს მუშაობენ ტოლერანტობისა და სკოლებში სამოქალ-აქო კლუბების ჩამოყალიბების მხრივ. ბავშვებს ასწავლიან არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობას და რაც ყველაზე მთავარია, ახალგაზრდებში ცდი-ლობენ გაზარდონ მოტივაცია ადგილობრივ გადაწყვეტილებათა მიღების პრ-ოცესში ჩართულობის კუთხით: „თუ რაიმეს მიღწევას ვცდილობთ, ეს ყო-ველთვის კეთდება ახალგაზრდებთან და მათი აქტიური ჩართულობით. მათი ცნობიერების ამაღლება არის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“-აღნ-იშნავს ოთარ რევიშვილი და იმ მიმდინარე პროექტებზე გვესაუბრება, რომელიც ადგილობრივი თვითთმართველობის გაძლიერებისკენაა მიმართული:

„ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის თვითმმართველობის გაძლიერება. პრ-ოექტების ძირითადი მიმართულება და მიზანი არის ერთის მხრივ, ძლიერი თვითმმართველობა, იმიტომ რომ ძლიერი თვითმმართველობა თავისთ-ავად წარმატებული ქვეყნის საწინდარია და მეორეს მხრივ, ადგილობრ-ივ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა.

მუნიციპალიტეტის გაძლიერების მიმართულებით რამდენიმე პროექტზე გავამახვილებ ყურადღებას, მათ შოროს მინდა გამოვყო „მართე სახლიდან“, რომლის ფარგლებშიც, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხდომები ჩავრთეთ პირდაპირ ეთერში. ეს იყო საქართ-ველოს მასშტაბით ერთ-ერთი პირველი პრეცენდენტი. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ფუნქცია-„ფეისბუკ ლაივი“ და პირდაპირი ეთერები „იუთუბ“ არხით ხორციელდებოდა.

ეს მექანიზმი იძლეოდა საშუა-ლებას, რომ მოქალაქეები დისტანციურად ჩართულიყვნენ საკრებულოს სხდ-ომებში და დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიციები.

ვინაიდან, მაგ დროს ჯერ კიდევ შეზღუდული იყო სოფლებში ინტერნეტზე წვდომა, შევარჩიეთ 5 სოფელი, სადაც გაკეთდა ჩართულობის ცენტრები, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით, მონიტორით და ადამიანებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართუ-ლიყვნენ სხდომის მიმდინარეობისაას და დაესვათ შეკითხვები.

ასევე, ჩვენ დავნერგეთ ონლაინ გამოკითხვის სისტემა, რომელიც ასევე ჩაშენებულია მუნიციპალიტეტის ვებგვ-ერდზე. ამით მოქალაქეს შესაძლ-ებლობა ეძლევათ, თავიანთი პრიორიტეტული მოსაზრებები გაუზიარონ მუნიციპალ-იტეტს“-ამბობს რევიშვილი, რომელიც ჩვენთან კიდევ ერთ საინტერესო მექ-ანიზმზე საუბრობს, რომლის მეშვეო-ბითაც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ჩართ-ულობის გაზრდა უკვე ელექტრონული პეტიციების მეშვეობით გახდა შესა-ძლებელი:

„ჩვენ ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში დავიწყეთ გურიის მასშტაბით შეხვედრები მოქალაქეებთან და ვაცნობდითთ მათ ჩართულობის ერთ-ერთი მექანიზმის, პეტიციის შესახებ. ეს არ არის რაღაც კოლექტიური წერილი, რომელსაც ერთი ბიუროკრატი გვერდზე გადადებს და მოგვიანებით გა-დახედავს, არამედ, საკრებულოს ვალდებულებაა, რომ განიხილოს ეს პეტიცია.

ეს იყო ერთგვარი საგანმანათ-ლებლო კომპონენტი, როცა ჩვენ ადამიანებს ვასწავლიდით თუ როგორ უნდა წარედგინათ პეტიცია და მეორეს მხრივ, მივაღებინეთ დადგენილებები მუნიციპალიტეტს, რომ ჩამოეყალი-ბებინათ ხელმოსაწერი ფორმები, ზუსტად გაეწერათ პროცედურები, ამაში ჩვენც დავეხმარეთ მუნიციპალიტეტს. პარალელურად ჩვენ ვატარებდით ფო-კუს ჯგუფებს სოფლებში, თავს ვუყრი-დით კონკრეტულ პრობლემებს, რომლებსაც პეტიციის სახით წარვადგენდით. გამოვყოფ ბოლო ეტაპს, როცა ყველა მუნიციპალიტეტს მოვთხოვეთ ელექტრონული პეტიციის მექანიზმის დანერგვა და ასევე ჩვენი ძალიან დიდი ჩართულობითა და ადვოკატირებით მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტი-ლება, რომ ხელმომწერთა რაოდენობა, რომელიც კანონით განსაზღვრული იყო ერთი პროცენტით, დაწია 0,5-ზე“-გვიყვება რესპონდენტი.

რაც შეეხება რამდენიმე მიმდინარე პროექტს, საზოგადოებრივი აზრის კვლ-ევის საფუძველზე ინოვაციური მექა-ნიზმის ამოქმედების მხრივ, ერთ-ერთი საინტერესო პრო-ექტია მოქალაქეების წახალისება პროექტების მომზადების, მათი შერჩევისა და შემდეგომში დაფინანსების მიღების კუთხ-ით. მსგავსი ინოვაციების წარმატებულობაში კი ის არწმუნებთ, რომ პარტნიორი ორგანიზაციების დაფინანსებით ამ ყველაფრის გადატანა უკვე სხვა მუნიციპალიტ-ეტებშიც ხდება: „გვაქვს მიმდინარე პროექტი, რომლის ფარგლებშიც ორი ფოკუს ჯგუფის მიერ ჩავატარეთ კვლევა თუ რა აწუხებდათ მოქალაქეებს. გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა: ეს იყო გა-დაწყვეტილების მიღებისა და ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ნაკლები ჩართულობა. ჩავთვალეთ, რომ საჭირო იყო კიდევ უფრო ინოვაციური მექანიზმების დანერგვა.

მოგეხსენებათ, რომ ისევ ამოქმედდა სოფლის განვითარების პროგრამა, რომელიც ქალაქს არ ეხება. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვართ აქტიურ მოლა-პარაკებაში მუნიციპალიტეტთან და სატესტო რეჟიმში ამოქმედება ინოვაციური მექანიზმი, რომლის საფუძ-ველზეც მოქალაქეებს თვითონ შეეძლებათ პროექტების წარდგენა, შემდეგ ონლაინ რეჟიმში აირჩევენ მოდერაცია გავლილ პროექტებს, მათგან საუკე-თესო კი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, დაფინანსდება.

მსგავსი პროექტები რომ ძალიან კარგი ტაქტიკაა, ეს დაადასტურა ევროკავშირმაც. რომლის დაფინანსებით ფოთისა და ბაშის მუნიციპალი-ტეტებში დაინერგება ივივე მექანიზმები. ამას მოწმობს თვითმმართველობის ინდექსიც, რომლითაც საკრებულო პირველ ადგილზე მოხვდა, ადგილობრივი თვითმმართველობა კი მეს-ამეზე“-აღნიშნავს რევიშვილი.

მიგრანტებისა და ყოფილი პატიმრების დახმარებაეს ორგანიზაციის მხ-რიდან განხორციელებული კიდევ ორი პროექტია, რომლის ფარგლებშიც არა ერთი ბიზნეს იდეა დაფინანდა, მცირე გრანტების პროგრამით კი, ასი ათასობით ევრო გაიცა:

„წარმატებული პროექტი იყო დაბრუნებული მიგრანტებისა და პოტენციური მიგრანტების მიმართულება. პროექტი ხორციელდებოდა ევროკავშ-ირის დაფინანსებით. ეს იყო მნიშვ-ნელოვანი იმით, რომ მოიცავდა ორ კომპონენტს, ერთის მხრივ, მოიცავდა საგანმანათლებლო კომპონენტს, ანუ ჩვენ ვუფინანსებდით ადამიანებს სწა-ვლას კოლეჯში, სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებს, სადაც შეისწავლიდნენ რომელიმე კონკრეტულ ხელობას, რომ შეეძინათ პროფესია და გამოცდილება. ეს პროექტი ეხებოდა იმ ახალგაზრდებს, იმ ადამიანებს, რომლებიც აპირებდნენ მათი სოციალური მდგომარეობის გამო ქვეყნის დატოვებას, ან სეზონურ სამუშაოებზე დადიოდნენ. ერთის მხრივ მათ ვაძლევდით პრ-ოფესიას და მეორე კომპონენტი იყო, რომ ვუფინანსებდით ბიზნეს პროექტებს, რომლის დაწერაშიც თავადვე ვეხმარებოდით. ვასწავლიდით, თუ როგორ უნდა დაეწერათ ბიზნესგეგმა. ანუ, ამ ადამიანს თუ ჰქონდათ კარგი იდეა, ეს უფინანსდებოდათ. მარტო მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში 150 ათასი ევრო გავეცით. ასევე, ვეხმარებოდით ბიზნეს ორგანიზაციებს გაფართოებაში და მათაც ვაძლევდით გრან-ტებს იმ პირობით, რომ მასთან უნდა დაესაქმებინა ქვეყანაში დაბრუნებული მიგრანტი.

ჩვენი მთავარი მიზანი იყო ის, რომ დაბრუნებული ადამიანებისთვის შეგვე-ქმნა ის გარემო, რომ ისევ არ აღმოჩენილიყვნენ კატასტროფულ მდგ-ომარობაში და გაქცევა არ დასჭი-რვებოდათ და მეორე, რომ შეგ-ვექმნა მათთვის ელემენტარული პირობები.

ასევე გვაქვს მიმდინარე პროექტი ყოფილი პატიმრების დახმარების კუთხით. ეს არის მრავალკომპონენტიანი, აქაც არის ბიზნეს იდეების დაფინანსება. ასევე, ეს პროექტი ითვალისწინებს მათ ფურიდიულ დახმარებას, მედი-კამენტებით დახმარ-ებას... პროექტი მნი-შვნელოვანია იმითაც, რომ ჩვენ ვეხმ-არებით პატიმრების ოჯახებსაც, ვისაც ძალიან უჭირთ, რომ ადამიანს, როცა ის სახლში დაბრუნდება, დახვდეს ნორმალური გარემო და არა ისეთი, რომ ისევ დანაშაულისკენ უბიძგოს“-ამბობს ოთარ რევიშვილი.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia
პროგრესის სახლი
ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი

ეს სტატია შექმნილია ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის - პროგრესის სახლი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI CSRDG CTC EDEC

ქართული ენისადმი მიძღვნილი კვირეული ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დედაენის დღესთან დაკავშირებული კვირეული დაიწყო ღონისძიებით „მე ვწერ ქართულად“.

„კალიგრაფიის“ აქციაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა.

ღონისძიება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის განათლების და გენდერულ საკითხთა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა.

აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებმა მასწავლებლებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

* * *

კვირეულის ფარგლებში ბიბლიოთეკას დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრენ პედაგოგ ნაზიბროლა მემარნიშვილის ხელმძღვანელობით და ძალიან საინტერესო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს. ლამაზი ცეკვით, სიმღერებითა და ლექსით მსმენელებს სასიამოვნო დღე აჩუქეს. ღონისძიება დაამშვენა სალომე და თამთა კვირკველიების მიერ მომზადებულმა მუსიკალურმა ნომრებმა. ღონისძიების ბოლოს სტუმარმა და მასპინძელმა ბავშვებმა ერთად შეასრულეს რამდენიმე სიმღერა. ღონისძიების მიზანია გააცნოს ერთმანეთს თანატოლები ქალაქისა და სოფლის სკოლებიდან და გაგრძელდეს მათი მეგობრობა.

აქცია „აჩუქე წიგნის ფარგლებში ბიბლიოთეკისდირექტორმა ლიკა ბაქანიძემ სასკოლო ბიბლიოთეკას წიგნები. მანვე დაბადების დღე მიულოცა და წიგნი უსახსოვრა დღის იუბილარ აქტიურ მკითხველს ცოტნე ცაგარეიშვილს.

* * *

მეორე დღეს ბიბლიოთეკაში აქტიურმა მკითხველებმა, ნასაკირალის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი - ზაზა ცეცხლაძე, პედაგოგი – თამთა დოლიძე) საინტერესო პრეზენტაციის ფონზე წარმოადგინეს ქართული ენის მიერ დასაბამიდან დღემდე განვლილი გზა, წაიკითხეს ჩვენი პოეზიის ნიმუშები. ღონისძიებას ულამაზესი ელ-ფერი შესძინა მუსიკალურ სკოლასთან არსებულმა ხალხურ საკრავთა ანსამბლმა თამთა კვირკველიას ხელმძღვანელობით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მე-2 საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბის წევრებმა (პედაგოგი – იზოლდა სიხარულიძე).

ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ლიკა ბაქანიძემ აქცია „აჩუქე წიგნის“ფარგლებში ნასაკირალის სკოლას წიგნები გადასცა.

* * *

კვირეულის ფარგლებში ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით სამეცნიერო სასწავლო კონფერენცია ჩაატარა მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების კულტურის სამსახურმა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქალაქის №1, №3, №5 საჯარო სკოლების, წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის გიმნაზიის, მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა მოსწავლეები

* * *

დასკვნით დღეს კვირეულის დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა თავი დაბა ნარუჯის საჯარო სკოლამ (დირექტორი მედეა ობოლაძე, პედაგოგი ნათია მურადოვა). ბავშვებმა ლამაზი სიმღერებით, ცეკვითა და ლექსებით სასიამოვნო დღე გვაჩუქეს. მათთვის სიურპრიზი იყო ბიბლიოთეკის საბავშვო ოთახი, სადაც გაერთნენ და იმხიარულეს...

ბიბლიოთეკის ხელმძთვანელობა მადლობას უხდის მათ, ვინც გვერდით დაუდგა კვირეულის ჩატარებაში.

სულთათანა

„უზომოდ მენატრები და მაკლიხარ“

დედის მზია ლურსმანაშვილის ხსოვნას

რაც დრო გადის, მით უფრო მტკივა უშენობა. უზომოდ მენატრები და მაკლიხარ. მაკლია შენი მზრუნველობა და მფარველობა, მჭირდები, ძალიან მჭირდები, რამდენ რამეს გააკეთებდი ჩემთვის, შე ხომ არამარტო დედა, ჩემი სულიერი მოღვარი და მეგობარი იყავი, ჩემი და შენი შვილების დიდი გულშემატკივარი და გადაყოლილი მშობელი. სამწუხაროა, რომ ბედისწერამ ასე ნაადრევად ისურვა ჩვენი დაშორება, მაგრამ ბედისწერას ვერ-სად გაექცევი.

დედის დღეს გილოცავ დედა, ჩემო თბილო და ტკბილო, ვიდრე ვიარსებებ, შენც იარსებებ ჩემში. უფალმა გაგინათლოს გზა ცათა სასუფეველში.

თამუნა ლურსმანაშვილი

მურმან ნაცვალაძის ხსოვნას



აპრილია...ბუნება ლაღობს, შენ კი ორი წელია აღარ გინახავს ეს სილამაზე. ყველაფერმა მოგონებებში გადაინაცვლა. სამედისწერო შემთხვევამ შეწყვიტა სიკეთით, სიყვარულითა და სა-თნოებით სავსე შენი გულის ფეთქვა.

ძნელი წარმოსადგენია ოჯახი შენს გარეშე, ჩვენ ხომ შესანიშნავი მამა, ბაბუა, ხოლო შენმა თანამშრომლებმა საუკეთესო მეგობარი, კოლეგა, შენმა აღზრდილებმა კი კარგი აღმზრდელი დაკარგეს.

ყველა ჩვენგანს მოაკლდა ის ენერგია და ხალისი, რომელსაც ასე უხვად, უშურველად უნაწილებდი.

გულისტკივილით გიგონებთ და ვევედრებით უფალს, მუდამ ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

ოჯახი.

კიდევ ერთი ლამაზი დღე დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში



14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება, ამ თარიღთან დაკავშირებით 14 აპრილს სოფელ დვაბზუს შალვა რადიანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღონისძიება გაიმართა თემაზე –„ო, ენავ ჩემო დედაო ენავ“

ღონისძიება დვაბზუს საჯარო სკოლის კლუბ „საფიხვნოს“ და ცხემლისხიდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თანამონაწილეობით ჩატარდა.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო დვაბზუს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კლუბ „საფიხვნოს“ კურატორი– ნათელა ღლონტი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლელა ერქომაშვილი. ხოლო ცხემლისხიდის საჯარო სკოლიდან ისტორიის მასწავლებელი, მუზეუმის დირექტორი ნინო ჯაველიძე, რომელიც ამავდროულად სალამოს მასპინძელიც იყო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუზეუმის თანამშრომლები, პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები. სალამო საინტერესოდ წარიმართა ერ-თმანეთს ცვლიდა საინტერესო თემები, ლექსები და სიმღერები. მოსწავლეებმა აუდიტორიის წინაშე. ყველაფერი საინტერესოდ წარმოაჩინეს .

დვაბზუსა და ცხემლისხიდის საჯარო სკო-ლების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ეს კიდევ მესამე პროექტია. ღონისძიებაში 30 მოსწავლე ღებულობდა მონაწილეობას. ბოლოს ითქვა სამადლობელი სიტყვები, დაიგეგმა მომავლის პროექტები, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ორი სკოლის თანამშრომლობითი ურთიერთობის განვითარების საქმეში.

სკანვორდი





№ 15-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მიგელ დე სერვანტეს საავედრა; ძვირფასბეწვიანი ცხოველი – სიასამური; რეალის ცენტრალური მცველი – ვარანი; საფრენი კიდური – ფრთა; მწვანე კონტინენტი – ავსტრალია; მდინარე ციმბირში – ამური; ჭურჭელი – ტარა; ნადალი – რაფა; მე-6 ნოტი – ლა; ნამგალი გურულად – მაგანა; ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი – ედუ; დიმიტრი მოფერებით – დიმა; ერთგვარი ქანჩი – ბიზონი; აფრიკის ქვეყანა – ანგოლა; პირველი ასობგერა – ა; თურქეთის მოსაზღვრე სოფელი – სარფი; ჭრელა-ჭრელა – ზიზია; პატარა თითი – ნეკი; მდინარე საქართველოში – ლიახვი; ბარსელონას თავდამსხმელი – სუარესი; მუსლიმთა დღესასწაული – რამაზანი; ქალის სახელი – ამალია; აბატი „გრაფი მონტე კრისტოდან“ – ფარია; არსაკიძის ზედამხედველი – უტა; ქალაქი აფხაზეთში – გაგრა; შეიარაღებული კონფლიქტი – ომი; წელიწადის დრო – ზაფხული; სავარცხელიანი ფრინველი – ოფოფი; მღრნელი – თრია; ქართული მხატვრული ფილმი – მიზანი; ჩიტების ჟრიამული – რია; ქალის სახელი – ელენე; ... პუგაჩოვა – ალა; გულის დაავადება – არითმია; წინსვლა – პროგრესი; განთიადი – აისი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ელიოტ რუზველტი მახარაძეში

ელიოტ რუზველტი თბილისში, ქართველ მსახიობებთან.

ელიოტ რუზველტი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურის - ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის (1933-1945 წწ.) ვაჟი გახლდათ.იგი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი და მამის ადიუდანტი იყო სამხედრო საქმეში. მოგვიანებით მან დაწერა წიგნი „მისი თვალით დანახული", რომელშიც უამრავი ძვირფასი ისტორიული ეპიზოდი შემოგვინახა.

ელიოტ რუზველტი მამის მნიშვნელოვან კონფერენციებს და შეკრებებს ესწრებოდა. როგორც თავად წერს:, ,როგორც მამის ადიუტანტი, უმეტეს შემთხვევაში ვესწრებოდი სამხედრო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ სხდ-ომებს, რომლებშიც ის მონაწილეობდა. ასეთ დროს მე ვითავსებდი მდივნისა და კურიერის მოვალეობას და ოქმებსაც ვადგენდი, ამ ნახევრად ოფიციალურ როლში საშუალება მომეცა მოწმე ვყოფილიყავი, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ,როგორ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებსა და მიდიოდნენ შეთანხმებამდე ომში მონაწილე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები. მე შევხვედრივარ ჩერჩილს, სტალინს, მოლოტოვს, გენერალ სიმუს ჩან კაი-შის და მის მეუღლეს ,შტაბების უფროსების გაერთიანებული საბჭოს წევრებს, გენერლებს და ადმირალებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საომარ მოქმედებებს და ყველა სახის შეიარაღების დემონსტრირებას ახდენდნენ, სმეტს, დე გოლს, ჟიროს,ჰოპკინსს, რობერტ მერფის: ეგვიპტის, საბერძნეთის ,იუგოსლავიისა და ინგლისის მეფეებს, ემირებსა და შაჰებს,სულთნებსა და პრინცებს, პრემიერმინისტრებს, ხალიფებს დიდ ვეზირებს. პირველი მე ვხდებოდი მათ, მივაცილებდი მამასთან, ვესწრებოდი მოლაპარაკებებს. შემდეგ მამა თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა... როცა სხდომების გრძელი დღეები მთავრ-დებოდა,როცა უკანასკნელი მომსვლელიც მიდიოდა , მე და მამა ძილის წინ, რამდენიმე საათს ვატარებდით გასული დღის მოვლენებზე საუბარში, ჩვენს შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებს უზიარებდით ერთმანეთს. ზოგჯერ მამა მეკითხებოდა ჩემს სამუშაოზე - მე ხომ ფოტოდაზვერვის ოფიცერი ვიყავი,უფრო ხშირად კი მე ვეკითხებოდი,ყველაფერზე,რაც მაინტერესებდა, დაწყებული მეორე ფრონტის მდგომარეობით და ქალბატონ ჩანკაი-შიზე დამთავრებული. მე ის მენდობოდა, სტალინთან მოლაპარაკებების შედეგები მანამდე მომიყვა, ვიდრე თავისი შტაბების უფროსებს და მინისტრებს გაცნობდა. ჩვენს შორის ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა, ვფიქრობ, მას არა მარტო ვუყვარდი, როგორც შვილი, არამედ პატივს მცემდა,როგორც მეგობარს. ამრიგად,მე ამ კონფერენციებს ვესწრებოდი,ერთის მხრივ ,როგორც პრეზიდენტის ოფიციალური ადიუტანტი,მეორეს მხრივ -უახლოესი მეგობარი ადამიანისა,რომელიც წამყვან როლს თამაშობდა გაერთიანებული ერების ერთობის უზრუნველყოფაში. როგორც მეგობარი, მე ვიყავი მისი ფარული აზრების სანდო მსმენელი, მე მიზიარებდა თავის სანუკვარ ოცნებებს საყოველთაო მშვიდობაზე. მე ვიცოდი მისი აზრით რა პირობები უნდა შესრულებულიყო საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად, ომის დროს ფრანკლინ რუზველტი იყო გაერთიანებული ერების ერთიანობის ხუროთმოძღვარი."

ელიოტ რუზველტი იხსენებს სტალინთან შეხვედრის ერთ მომენტს: „ერთხელ, სადილის დროს მე მიწვევა არ მიმიღია ,მაგრამ, როცა სტუმრებს პირველი თავი საჭმელი მიართვეს, რუსმა, რომელიც სტალინის ზურგს უკან იდგა, შემამჩნია გვერდით შესასვლელთან, დაიხარა და სტალინს რაღაც ჩასჩურჩულა, როგორც კი დავინახე, რომ მარშალმა ჩემკენ გამოიხედა, უხერხულობისგან სასწრაფოდ უკან დავიხიე, ის უმალ წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა, ჟესტების დახმარებით სავსებით ნათლად გამოხატა თავისი სურვილი, რომ საზოგადოებას შევერთებოდი. თარჯიმანმა ეს თავაზიანი მიპატიჟება ინგლისურად გადამითარგმნა, როგორც მან გადმომცა, მარშალს არ სცოდნია,რომ მისმა მდივანმა არ დამპატიჟა. მარშალმა ხელი ჩამკიდა და ოთახში დამბრუნა. ჩემთვის ადგილი იდენსა(ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი) და ჰარიმანს (ამერიკის სახელმწიფო მოღვაწე,ფინანსისტი, რუზველტის მრჩეველი მრეწველობისა და ფინანსების საკითხებში) შორის გათავისუფლეს. ასე აღმოვჩნდი რუსულ ბანკეტზე პირველად" (ელიოტ რუზველტი,„მისი თვალით დანახული" გვ.12-13).

ცნობილია სტალინის დამოკიდებულება რუზველტის პიროვნებისადმი. სტალინი ამბობდა:- ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ ის კაპიტალისტური ქვეყნის მეთაურია.

რუზველტი ,თავის მხრივ,არ მალავდა, რომ უდიდეს პატივს სცემდა სტალინს: „იგი ჩამოსხმულია გრანიტისაგან, რომელსაც ჩადგმული აქვს რუსული სული და გული." ჩერჩილი სინანულით წერდა,რომ ის ყოველთვის მესამე კაცად მიიჩნევდა თავს კოალიციაში. ამდენად ამ საკითხს მეტს აღარ შევეხები. ჩვენთვის საინტერესო გახლავთ ფრანკლინ რუზველტის ვაჟის ელიოტის ვიზიტი საქართველოში და კერძოდ, მახარაძეში.

პირველი, რაც უნდა ვთქვათ: საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ისტორიული ფოტო, რომელიც ასახავს ელიოტ რუზველტის და მისი მეუღლის მსახიობ ფეი ემერსონის ვიზიტს საქართველოში. ფოტო გადაღებულია კინოფილმ „აკაკის აკვანის" გადასაღებ მოედანზე. ფოტოზე აღბეჭდილი არიან: ელიოტ რუზველტი, ნატა ვაჩნაძე, ომარ ჩიტაია (პატარა აკაკის როლის შემსრულებელი),თამარ ციციშვილი, სპარტაკ ბაღაშვილი, კოტე დაუშვილი, კონსტანტინე პიპინაშვილი - ფილმის დამდგმელი რეჟისორი.

თბილისიდან ელიოტ რუზველტი ბათუმში ჩამოვიდაო, ამბობენ, მახარაძეში რომ სტუმრად ბრძანდებოდა მაშინდელ რაიკომის პირველ მდივან ვასო სიხარულიძესთან, ნამდვილი ამბავი უნდა იყოს .ვასო სიხარულიძე წარმოშობით ჩოხატაურიდან, სოფელ ბუკისციხიდან იყო. მახარაძეში ის ცხოვრობდა მეუღლის ნატა სანადირაძის ძმის ნარიმანის ოჯახში. მე ეს ინფორმაცია პირადად მოვისმინე ნარიმან სანადირაძის ძმისშვილ ზურაბ სანადირაძისაგან და ვნახე ის ოთახი ,სადაც ღამე გაათია ელიოტ რუზველტმა. ახლა ამ ძირძველ ოჯახში ცხოვრობს ბატონი ზურაბ სანადირაძე, რომელმაც მიამბო: „სახლი, რომელშიც მე და ჩემი მეუღლე მირანდა ვანიძე ვცხოვრობთ შვილებთან ერთად, 1945 წელს დიდი ოთხთვალიანი წაბლის სახლი იყო (ახლა გოგებაშვილის ქუჩა 8) ლამაზი და კეთილმოწყობილი, ბატონი ვასო ცხოვრობდა აქ , გადმოცემით ისიც გამიგია, ეზოში სახელდახელოდ რაღაც დამზმარე ნაგებობაც აუგიათ სტუმრისთვის.

არსებობს ზეპირი გადმოცემა,რომ ელიოტ რუზველტს ოზურგეთის მაშინდელმა საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო ოზურგეთის ცენტრალურ ბაღში, ყოფილ „მთავრის ბაღში" ,,ახლანდელი ჭადრების ბაღი", სადაც ადრე იმართებოდა ცნობილი საქალაქო დღესასწაული ,,ალეგრობა". და ეს დღესასწაული სულ 3-4 წლის შეწყვეტილი იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ (1941 წელი) შეაჩერა. ხალხს კარგად ახსოვდა მისი ყველა ელემენტი. სტუმრის შესახვედრად ბაღი მოწყობილი იყო . აქ მომხდარა გურული სამზარეულოს ჩვენება, წვავდნენ მწვადებს, ცხვებოდა ყველიანი კვერი, ავლებდნენ ჩურჩხელებს, ხდიდნენ ჭაჭის არაყს,თეატრის მსახიობები სამსონ ხურციძე, ევსტროფი თალაკვაძე,რომან ლომინაძე,ანნა ანდღულაძე მონოლოგებს კითხულობდნენ სპექტაკლებიდან. აქვე უკრავდა სასულე ორკესტრი, ხელმძღვანელი მუსიკოსი ჩითან თალაკვაძე. ელიოტმა, თურმე,რომელიც საყვირზე შესანიშნავად უკრავდა, კუკური დოლიბის საყვირით ამერიკის ჰიმნი დაუკრა და დიდი ოვაციები დაიმსახურა. ამის შემდეგ ვასო სიხარულიძეს მშობლიურ სოფელ ბუკისციხესა და სურების სანახებში წაუყვანია აქ ერთი რამ მომხდარა. ამის შესახებ ქვემოთ.

საქართველოში ელიოტ რუზველტის მოგზაურობისას ერთი ინციდენტი მოხდა: ოფიციალურად ცნობილია,რომ 1945 წელს ქარველი მსახიობები ერთ დიდ პოლიტიკურ სკანდალს გადაურჩნენ : მაშინ, როცა თბილისში ფილმ ,,აკაკის აკვანის" გადასაღებ მოედანზე ელიოტ რუზველტი და მისი მეუღლე ფეი ემერსონი,მსახიობებთან ერთად, დააყენეს და პრესისათვის ფოტო გადაუღეს ,ამ დროს უცებ გადმოვარდნილა უზარმაზარი გასანათებელი აპარატურა და ზუსტად იმ ადგილას დაცემულა ,სადაც ერთი წუთის წინ სტუმარ-მასპინძლები იყვნენ.

ერთი ზეპირსიტყვიერი გადმოცემაც: როდესაც ბატონი ელიოტ რუზველტი ვასო სიხარულიძემ თავის მშობლიურ ბუკისციხეში წაიყვანა, ამ დროს სურების ტყეში ყაჩაღად გავარდნილი იყო ასლან ბარამიძე. როცა მას შეუნიშნავს სოფელში ,,კოლხოზნიკების"(მაშინდელი პრესტიჟული ტრანსპორტი ე.წ. ,,ვილისი") მოძრაობა და გაუგია რაიკომის მდივანი და ხალხია ამოსული,თითქოს ვასო სიხარულიძისთვის შეუთვლია: „თუ ჩემს დასაჭერად ხარ ამოსული, შენ და შენ სტუმარს კარგი ცაში აგწევთო". საბედნიეროდ, საპატიო სტუმარი ამ „ინციდენტს" გადაურჩა. (რამდენადაც მე მითხრეს, ასლან ბარამიძე მთავრობამ 1949 წელს მოაკვლევინა მწყემს დიდი ვანიდან).

როგორც ამბობენ, მახარაძეში სტუმრობით ძალიან კმაყოფილი დარჩენილა ბატონი ელიოტი. ამბობდა, თურმე: ,,მე დაუვიწყარი სამი დღე გავატარე მახარაძეშიო".

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეო გაერთიანების
ფონდების მთავარი მცველი

ოთახი,სადაც ღამე გაათია ელიოტ რუზველტმა.

ბოლო, დამაგვირგვინებელი აკორდი

არის ლოგიკა იმაში, რომ დედაენის დღისადმი მიძღვნილი წლევანდელი ღონისძიებების ბოლო, დამაგვირგვინებელი აკორდი ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციით მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების კულტურის განყოფილებამ შეასრულა. შესრულებასაც გააჩნია. როცა ყოველ გამოსვლას თუ ნომერს, დამსწრე საზოგადოების ტაში მოსდევს, მაშინ ჟურნალისტის კომენტარი, ჩვენი აზრით, ზედმეტია, რადგან მაყურებელი ყველაზე ობიექტური შემფასებელია. ქალბატონ ლეილა კოსტავას ღონისძიებების მოწყობა თუ კონფერენციების გამართვა ნამდვილად არ ეშლება, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა იყო, როგორც სასწავლო ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით, შესაძლებელია იმიტომ, რომ დედაენას მიეძღვნა.

ჩვენი მხრივ, ასევე დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ კონფერენციის რომელიმე მონაწილე გამოგვერჩია, ქებას იმსახურებენ კონფერენციაში მონაწილე ქალაქ ოზურგეთის №1, №3, №5, სოფელ შრომის, წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის, მო-სწავლე ახალგაზრდობისა და სარ-ეკრეაციო დაწესებულებათა ლიტერატურული კლუბისა და ხატვის წრის მოსწავლეები. და მაინც, რომ იტყვიან, ცა გახსნეს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის მცი-რე ასაკის ბავშვებმა, ვისაც მიენდო ამ უთუოდ შთამბეჭდავი კონფერენციის ფინალი.

საერთოდ, ამ თემაზე ჩატარებულმა ღონისძიებებმა გვიჩვენა, რომ ქართული ენა ოზურგეთში საიმედო თაობების ხელშია.

ბულგარულ-ქართული კოპროდუქცია ოზურგეთის თეატრში

ოზურგეთის თეატრი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენების ეპიცენტრში მოექცა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ვასილ ჩიგოგიძის ძალისხმევით, ხორცი შეესხა საერთაშორისო პროექტს, რომელიც ოზურგეთის თეატრის სცენაზე ცნობილი ბულგარელი რეჟისორის ნევენა მიტევას მიერ სპექტაკლის დადგმას ისახავს მიზნად. პროექტის იდეა, შარშან, ნოდარ დუმბაძის მეორე საერთაშორისო ფესტივალზე გაჩნდა, როცა ხელი მოეწერა ორ ფესტივალს და ორ თეატრს შორის ურთიერთობის მემორანდუმს.ბულგარელი რეჟისორი ნევენა მიტევა მაშინ გურიაში საპატიო სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა, ამჯერად, კი ის სამუშაო ვიზიტით ეწვია ოზურგეთს.

„კოცნა“ ასე ქვია თანამედროვე ბულგარელი დრამატურგის ანა პეტროვას პიესას, რომლის გმირებიც ოზურგეთის თეატრის მსახიობებმა: ლევან საღინაძემ, ანა გოდერძიშვილმა, შორენა გვეტაძემ, ვახტანგ ჩხარტიშვილმა, ზაზა ჯინჭარაძემ, თამარ მდინარაძემ და კობა ახალაძემ გააცოცხლეს.

ანა პეტროვას დრამატურგია პირველად იდგმება ქართული თეატრის სცენაზე. პიესა ქართულად ნინო წითლანაძემ სპეციალურად ოზურგეთის თეატრისთვის თარგმნა. ნევენა მიტევას მუშაობისთვის სრული კომფორტი შეუქმნა მხატვარმა გია გვიჩიამ, ქორეოგრაფმა მარიკა ქვეითაიამ, მუსიკალურმა გამფორმებელმა მერაბ ჭანიშვილმა. მოწვეულ რეჟისორს ასისტენტირებას სპექტაკლში მონაწილე მსახიობი თამარ მდინარაძე უწევდა.

ბულგარულ-ქართულ კოპროდუქციას პრემიერის გამოშვების მერე, აქვს განვითარებაც. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და პროექტის ავტორი ვასილ ჩიგოგიძე აცხადებს: „ეს სპექტაკლი სპეციალურად შეიქმნა ბულგარეთის ქალაქ შუმენის ბულგარული დრამატურგიის ფესტივალისათვის. სპექტაკლი ჩვენი თეატრისათვის არის უჩვეულო, მისი თამამი ფორმით. ჟანრობრივად გახლავთ დრამატული კომედია მარტოობის, თაობების გაუცხოვების თემაზე. სპექტაკლში ნაჩვენებია დღევანდელი, თანამედროვე ცხოვრება.“

„კოცნის“ პრემიერა ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში 19 აპრილს გაიმართა.

ლია კილაძე,
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ვულოცავთ!

ლევან ქავჭარაძე –ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი



ბუქარესტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში ოზურგეთელი **ლევან ქავჭარაძე** მესამე ადგილსა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა!

„დედაენას“ დედასავით მოფერება სჭირდება

16 აპრილს „დედაენის“ ასობგერები სასიამოვნო ინტონაციებად მიმოფანტა ქალაქ ოზურგეთის №4 სბავშვო ბაღის საკონცერტო ოთახში. სასკოლო მზაობის ჯგუფმა (აღმზრდელები – ლია ქავთარაძე, მარინა ინწკირველი, მუსიკის მასწავლებელი – ნანა ქილიფთარი, აღმზრდელის თანაშემწე – ეკა გოგუაძე), სულ რაღაც ნახევარსაათიანი, მაგრამ მრავალფეროვანი სანახაობით დამსწრე საზოგადოების, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მოწონება დაიმსახურა.

„ენა დედაა ერისა“ – ეს იყო კარგად ორგანიზებული, ყოველნაირად გამართული, გაზაფხულივით მშვენიერი დღესასწაული, რომელშიც პატარა ვირტუოზებმა „დედაენისა“ და მისი ავტორის ბუმბერაზი სიყვარული ჩაატიეს. მოწონების შეძახილებსა და აპლოდისმენტებს მოჰყვა ის, რომ პატარებმა, დარბაზის თხოვნით, ორი საკონცერტო ნომერი გაიმეორეს.

„დედაენის“ საგალობელ ღონიძიებაში მონაწილეობდნენ მმობლიური სბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები: *ვაჟა აფაქიძე, ალექსანდრე აბაშიძე, ბარბარე ბუზალაძე, ლიკა ბოლქვაძე, მარიამ გურჯიძე, ლუკა გოგოტიშვილი, ელენე დოლიძე, ნიკა ვასაძე, ანასტასია თოხაძე, ანამარია ლომაძე, ბარბარე მუჯირი, კესო ნაცვალაძე, ანამარია ოვფიანი, ელენე პაპუნაშვილი, სბა სიორიძე, ანასტასია სამსონია, ნიკო ტადბაძე, ალექსანდრე შინდრიკოვი, ელენე ჩხაიძე, თემო ქიასარ, თორნიკე სალია, ბარბარე დოლიძე, ელენე იმნაძე, ნინი გუბელიძე.*

ბაღის მენეჯერია მარიკა ღლონტი, მეთოდისტი – ნაილი გრძელიძე, ლოგოპედი – მედეა გირკელიძე.

ოზურგეთის საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელთა პირველობაზე

ოზურგეთის საჩოგბურთო კორტებზე დასრულდა საჩოგბურთო სკოლის აღსა-ზრდელთა საგაზაფხულო პირველობა, რომელიც ამავდროულად აჭარის ღია პირველობის შესარჩევ სალიცენზიო ტურნირს წარმოადგენდა..ტურნირში ჩოგბურთის სკოლის 18 აღსაზრდელი (10 გოგონა, 8 ვაჟი) იღებდა მონაწილეობას. გოგონათა ფინალში ერთმანეთს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები, **დაკა სადრაძე** და **მარიამ ქერქაძე** დაუპირისპირდნენ.დაკამ თავიდანვე იგდო ხელთ ინიციატივა, ორ სეტში 6-1 6-1 სძლია მეტოქეს და თავისი პირველი .საჩოგბურთო ტიტული მოიგო.

რაც შეეხება ვაჟთა ფინალს, ჩემპიონობისთვის უშეღავათო ბრძოლა აქაც პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, **კახა მჟავიამ** და **სბა მახარაძემ** გაიარეს. მჟავიამ 6-4 მოიგო პირველი სეტი, მეორე სეტში ის ჩამორჩა მეტოქეს, მაგრამ სბამ 5-4-ზე ვერ გამოიყენა ორმაგი სეტ ბოლი., რომლის მოგებითაც თამაშს მესამე გადამწყვეტ სეტში გადაიყვანდა. კახამ მალე გამოასწორა სიტუაცია, იმარჯვა 7-5 და მეორედ გახდა საჩოგბურთო ტურნირის გამარჯვებული. წარმატებული ჩოგბურთელები თასებით, მედლებითა და სიგელებით დაავჯილდოვეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, **გორა კვირჩილაძემ** და ჩოგბურთის მწვრთნელმა **გივი სიამაშვილმა.**

ფინალისტებისთვის საგანგებო საჩუქრები ჰქონდა ასევე დაწესებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებას. ფინალურ მატჩებს მსაჯობდნენ საჩოგბურთო სკოლის აღსარდელი მანუჩარ სადრაძე, მწვრთნელები გივი სიამაშვილი და დავით თავართქილაძე.

მომდევნო საჩოგბურთო ტურნირი კი ოზურგეთში სტარტს მაისის თვეში აიღებს

ანიმაციიდან „დედაენამდე“

15 აპრილს საინტერესო სადღესასწაულო ღონიძიების მომსწრენი შევიქენით ანასეულში, სადაც აქაური სბავშვო ბაღის (მენეჯერი – ფიქრია თავართქილაძე, პირველი ცვლის აღმზრდელი – რუსუდან რატიანი) ტიკტიკა აღსაზრდელები „დედაენას“ მოესიყვარულენ. მართალია, თავიდან ანიმაციური საქმიანობის დათმობა ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ მერე და მერე ისე გაიხსნენ, რომ გეგონებოდათ, ლექსებს მსახიობები კითხულობდნენ და არა ბაღის აღსაზრდელები. საქმე იქამდეც მივიდა, რომ გუნდური სიმღერების შემდეგ საკუთარი ინიციატივით სოლოებიც შეასრულეს.

„დედაენისადმი“ ანასეულის ბაღის მიერ მიძღვნილ ღონისძიებას კარგი შეფასება მისცა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჭყონიამ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +5+8	წვიმა +2+8	მზე, ღრუბელი +4+13	მზე, ღრუბელი +4+14	მზე, ღრუბელი +6+14	მზე, ღრუბელი +7+16	მზე, +9+17
22 აპრილი	23 აპრილი	24 აპრილი	25 აპრილი	26 აპრილი	27 აპრილი	28 აპრილი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა